პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
12
დეკემბერი
№ 289
(16415)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 თებერვლიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შეჯიბრების მოწინავენი

საქართველოს მეციტრუსეებმა სამშობლოს უპატაკეს დიდი შრომითი გამარჯვება — ორგანიზებულად მოკრიფეს მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის ამ ხილის მიყიდვის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ვალდებულებანი.

9 დეკემბრისათვის დამზადებულია 118.310 ტონა ციტრუსი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 115.512 ტონისა.

აბაშის მეციტრუსეებმა ვალდებულებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 79.319 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 78.793 ტონისა. განსაკუთრებით თავი ისახელა ცნობილმა მეციტრუსემ, სოციალისტური შრომის გმირმა დ. ბაკურიძემ. მან მიჩენილ ნაკვეთზე (მექტარზე) გაანგარიშებით) მიიღო 50 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. უხვი მოსავლის მოყვანით სახელი გაითქვა რაიონული საბჭოს დეპუტატმა თამარ ახალაძემ. სურათზე: მოწინავე მეციტრუსეები თ. ახალაძე (მარცხნივ) და ვ. დურსუნაძე (მანდარინის კრეფის დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრიგადული სამეურნეო ანგარიში

თავართბილმშენის მე-14 ტრესტი ერთ-ერთი დიდი სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელიც თბილისის საცხოვრებელი ფონდის თითქმის ნახევარს აშენებს. სახელოვანმა კოლექტივმა საცხოვრებელი სახლების აშენებისა და საეკსპლოატაციოდ გადაცემის ხუთწლიანი გეგმა კარგახანია შეასრულა. ახლე წარმატებით ასრულებს წლევანდელ გეგმას. 11 თვეში დავალების გადამეტებით მოსახლეობას 12 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ჩაბარა.

აღსანიშნავია, რომ თვითეული კორპუსი გათვალისწინებული გრაფიკით და ვადაზე ადრე ბარდება. მკვეთრად გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი. მშენებელთა წარმატებას ხელს უწყობს კაპიტალური დაბანდებების და ძალების კონცენტრაცია, შრომისა და წარმოების მართვის გონივრული ორგანიზაცია. მუშაობაში დანერგეს უწყვეტი დაგეგმვის ხისტემა, რომელიც გადმოიღეს მოსკოვის და ლენინგრადის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებისაგან. ტრესტის ყველა სამონტაჟო ბრიგადა მოსკოველი ნოვატორი მშენებლის ნ. ზლობინის მეთოდით, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მუშაობს.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატების აღწევენ ის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ბრიგადის სამეურნეო ანგარიშს. მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ ბრიგადები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშით შრომობენ, 15-20 პროცენტით მცირდება მშენებლობის ვადები. მაგალითად, მე-14 ტრესტის ვ. გალდავას ბრიგადა სამშენებლო ვადასთან შედარებით ცხრასართულიან სახლს ერთი თვით ადრე კარგი შეფასებით ამბარებს. ეს კიდევ ერთი მაგალითია ბრიგადული იჯარის ხეკეთისა, ამ პროგრესული მეთოდის ეკონომიური ეფექტიანობისა, რომლებიც მშენებლობის ძირეული რგოლების მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ხისტემა ხდება.

მაგრამ ბრიგადული სამეურნეო ანგარიში ჯერ კიდევ ყველგან ფართოდ არ ინერგება. ზოგჯერ მას მხარს არ უჭერენ სამეურნეო მუშაკები. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რესპუბლიკაში მშენებელთა ბრიგადების ძალზე მცირე პროცენტი მუშაობს ბრიგადული იჯარის მეთოდით. ამ საქმეში არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებში.

ბრიგადული იჯარით მუშაობის მეტი შესაძლებლობა აქვთ ხოფლის მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს, ვინაიდან მათი ობიექტები უფრო მარტივია და მოცულობითაც პატარა. მიუხედავად ამისა, ეს პროგრესული მეთოდი მთელ რიგ სამშენებლო ტრესტებში ნაკლებად ინერგება. სამინისტროს ხისტემაში მოიშვიათად 838 ბრიგადიდან სამეურნეო ანგარიშით მხოლოდ 78 ბრიგადა მუშაობს.

მართალია, სამინისტრო კაპიტალური მშენებლობის გეგმებს ასრულებს, მაგრამ თუ ბრიგადული იჯარას ფართოდ დანერგავთ, ეს კიდევ უფრო დაჩქარებს მშენებლობის ტემპს, მკვეთრად გაუმჯობესდება ხარისხი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბრიგადული სამეურნეო ანგარიში ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად გამოყენებულია მხოლოდ სპანეთ მშენებლობაში. იგი ძალზე ხუსტად არის გავრცელებული სამრეწველო მშენებლობაში. ზოგიერთი ხელმძღვანელი ამას სხვადასხვა სიძნელეებით, ინდუსტრიის ობიექტებზე სამუშაოთა დიდი მოცულობით ხსნის. ასეთი აზრი, ცხადია, მცდარია და მას არ უნდა დავეთანხმოთ.

ამას წინათ გაზეთი „პრავდა“ მოწინავე წერილში წერდა: მურმანსკის № 2 სამშენებელთ-სამონტაჟო სამმართველოს მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, ზლობინის მეთოდით მუშაობა საუკეთესო შედეგს იძლევა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის დროსაც. სამმართველო ოთხი ბრიგადა აშენებს ოცდაშვიდი მილიონი მანეთის ღირებულების კვეთის კომპლექსს. მთელი მშენებლობა დაყოფილია ეტაპებად, განსაზღვრულია ასამოქმედებელი ობიექტები. მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ხერიკოვის ბრიგადამ წლეულს ათ თვეში შეასრულა დაახლოებით ცხრაასი ათასი მანეთის სამუშაოები და დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის საეკსპლოატაციოდ გადასცა ათასი ტონა ტევადობის მაცივარი.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ბრიგადული იჯარა ფართოდ უნდა დავნერგოთ სამრეწველო ობიექტების მშენებლობაშიც.

რატომ არის, რომ ბრიგადულმა იჯარამ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ფართოდ ვერ მოიკიდა ფეხი?

ბრიგადული იჯარის სისტემა მოითხოვს მწყობრ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მისი ბაზის განმტკიცებას. ამ მხრივ საქართველოში საკმე ძალზე ცუდად გვაქვს. სამშენებლო ობიექტები და მატერიალური რესურსები არ შეეფარდებიან ერთმანეთს. ობიექტებს ვერ ვამარაგებთ გრაფიკის მიხედვით, დიდია მოცდენები. ცხადია, ასეთ პირობებში ბრიგადული იჯარა ვერავითარ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. პირიქით, ცუდი მომარაგების დროს იჯარით მომუშავე ბრიგადამაც კი შეიძლება უარი განაცხადოს ამ მეთოდით მუშაობაზე.

მშენებლობაში მოწინავე მეთოდების ხუსტად დანერგვის, ცუდი შრომის ორგანიზაციის შედეგად წლეულს არცერთ კვარტალში არ შესრულებულა მშენებლობის სახელმწიფო გეგმები. რასაც ვაშენებთ მისი ხარისხიც შეუწყარებლად დაბალია. დღემდე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს დაუმთავრებელი მშენებლობა, კაპიტალური დაბანდებანი იჭედსებენ, განსაკუთრებით ნელა შენდება სახალხო მოხმარების საკონლის საწარმოები, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. დაგეგმეს და მომარაგება ჯერ კიდევ ისეთნაირად წარმოებს, რომ ძირითადი სამუშაოები ზნირად წლის დამლეგზე მოდის.

სამშენებლო სამინისტროებმა, ტრესტებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ მშენებარე ობიექტებს ზუსტად შეეფარდებოდეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ამას მოითხოვს მომავალი წლის ის დიდი ამოცანები, რომლებიც განსაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. **გაისად კაპიტალური დაბანდებები კავშირის მასშტაბით 5,1 პროცენტით გაიზრდება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.**

მომავალი წლის გაზრდილი სამშენებლო გეგმების შესრულებას აქედანვე უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი. ამ მხრივ ყურადსაღებია მოსკოვის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება. აქ მორიგი წლის დამდეგისათვის აუცილებლად ქმნიან მარაგნამატს ტექნიკური მზადყოფნით.

საქმის წარმატება დამოკიდებულია ადამიანებთან ცოცხალ კონკრეტულ მუშაობაზე. საჭიროა ყოველ ბრიგადას, ყოველ მუშას შეუქმნათ პირობები ნაყოფიერი შრომისათვის. ამ საკითხებს უნდა დაუმონონ მთავარი ყურადღება პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის პროცესში. უნდა ავამაღლოთ სამეურნეო კადრების პასუხისმგებლობა. მომიჯნავე ქვეგანაყოფების ზუსტი ურთიერთმოქმედებისათვის, სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებისათვის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის მტკიცე დაცვისათვის.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი იწურება. სამინისტროები და უწყებანი მოვალენი არიან მატერიალურ რესურსებს თავი მოუყარონ ასამუშავებელ ობიექტებზე. არ დაუშვან მათი დაკარგვა. **მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მუშაობაში მთავარია არა ათვისებული სახსრების მოცულობა, არამედ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.**

წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მოწინავე გამოცდილება, პირველ რიგში ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, მისი უნარიანი გამოყენება დაგვეხმარება ვაშენოთ სწრაფად, ხარისხიანად.

დაე მუშაებელთა შეჯიბრების მუდმივი საბრძოლო დევიზი იყოს ლოზუნგი: ყველა ასამოქმედებელი ობიექტი ფრიადი შეფასებით, ბრიგადის მიხედვით გადავცეთ საექსპლოატაციოდ!

ყოველი დღე — დამკვრელური

გრაფიკის გასწრებით ქვანახშირს ანგრევს კომბაინი

სოხუმი. (სკპ. კორ.). თვეზის კომბინატის (დირექტორი ნ. უსვიატი, მთავარი ინჟინერი მ. ხელაია) კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ 1975 წლის იანვარში შეასრულა. საწარმოს კოლექტივმა ახალ წარმატებას მიაღწია. ხაერთო პროდუქციის გამომვებისა და რეალიზაციის 11 თვის დავალება ვადაზე ადრე გაანადა. წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 881 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 312 ათასი მანეთის პროდუქცია.

შეჯამებულია შეჯიბრების შედეგები.

ი. გოგბერია.

ტყიბული. (სკპ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის (უფროსი ივ. ორჯონიკიძე) კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე ორნახევარი თვით ადრე შეასრულა ხათობიის მოპოვების ხუთწლიანი გეგმა, ამ დღეებში ახალი ტექნიკური სიახლის დანერგვა იზეიმა — მეოთხე საკუსპლოატაციო უბნის ღრმა მიწისქვეშა სანგრევში ამუშავდა ეფრეთწოდებული ვიწრო მოდების ტიპის ქვანახშირის მომნგრევი კომბაინი.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოს არსებობის ისტორიაში პირველად განხორციელდა ქვანახშირის გაუბურღავ-აუფეთქებადი მონგრევა. ამან ერთი მხრივ გააადიდა სანგრევის დაეირთვა, გაზარდა მუშახების შრომის ნაყოფიერება, მეორე მხრივ უსაფრთხო გახდა სანგრევში მუშაობა. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ქვანახშირის მომნგრევი კომბაინი საათში ამჯერად 100 ტონაზე მეტ ქვანახშირს იძლევა.

კომბაინისათვის ამ შექმნილია სპეციალური ტექნიკური სამსახური, რომელსაც სამთო საქმის ენთუზიასტი, ინჟინერი თ. მერაბაშვილი უდგას სათავეში.

ვ. ციბრეკიძე.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

11 დეკემბერს ვარშავიდან მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მეთაურობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობაზე.

ბელორუსიის ვიგზალზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გროშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ფ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, შ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. პ. ბეშჩევი, გ. ს. პავლოვი, გ. ე. ცუკანოვი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ს. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ო. ბ. რახმანინი, გ. კ. ცინევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. ი. ბლატოვი, ვ. ა. გოლიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ნ. შახნაზაროვი.

შეხვედრთა შორის იყო პოლონეთის საბალნო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვ. ნაპერალი.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ა. მ. ალეკსანდროვი, ლ. მ. ზამიატინი. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნი მოსკოვში დაბრუნდა

ქაბული, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის და პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის მოლაპარაკება.

მხარეებმა განაგრძეს ურთიერთსაინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემების, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის განხილვა.

მხარეებმა შეაფასეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი კომუნიკე ავღანეთის რესპუბლიკაში ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტის შესახებ.

მოლაპარაკებაში, რომელიც გულითადი, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ ნ. ვ. პოდგორნის თანმხლები ოფიციალური პირნი, აგრეთვე ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწენი.

ამავე დღეს ნ. ვ. პოდგორნიმ და მუჰამედ დაუდმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომ მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 1931 წლის 24 ივლისის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და ერთმანეთზე თავდაუსხმელობის შესახებ.

ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დღეს ქაბულიდან სამშობლოში გამომგზავრა.

ტაშკენტი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და ოფიციალური პირნი, რომლებიც მას ახლდნენ ავღანეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს.

11 დეკემბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო ავღანეთში.

აეროდრომზე მას დახვდნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, შ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები გ. ს. ძოწენიძე, შ. ა. ისნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. ბიტიკოვი, ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები ს. თ. ანტონოვი, ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დამხვდურთა შორის იყო ავღანეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში მოჰამედ ანვარი.

(საკდესი).

იდეოლოგიური კადრების უმნიშვნელოვანესი ამოცანები

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

11 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომპარტიის სალოქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემაა: „პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური საქმიანობის ორგანიზაცია. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორის მუშაობის სტილი და მეთოდები“. კონფერენციის მეორე დღეს მოეწყო სემინარი ინსტრუქტორთა მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკითხებზე.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი ინფორმაციები: საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის დ. ნ. მონიავასი — „პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორის მუშაობის ორგანიზაციისადმი მეგნიერული მიდგომა“ და საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ბ. ი. ნოზაძისა — „ინსტრუქტორის ორგანიზატორული მუშაობა მიღებული დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისათვის“, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ი. მ. შუბლაძემ წაიკითა ინფორმაცია თემაზე „მშრომელთა პოლიტიკური განათლებისა და ეკონომიკური სწავლების სისტემისადმი ხელმძღვანელობისათვის მუშაობის ორგანიზაცია“. შემდეგ მოისმინეს ინფორმაციები თემებზე: „ინსტრუქტორის მუშაობის გამოცდილება ბიუროზე განსახილველი საკითხებისა და სხვა დოკუმენტების მომზადების საქმეში“, „ინსტრუქტორის მუშაობის დაგეგმვისა და სამუშაო დღის ორგანიზაციის პრაქტიკა“, „ინსტრუქტორის როლი იდეოლოგიური კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში“, „ინსტრუქტორის მიერ პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის მიღებისა და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში გამოყენების პრაქტიკა“, „ინსტრუქტორის მუშაობა მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე“, „ინსტრუქტორის როლი მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის ორგანიზაციაში, კომუნისტური მორალის ანტიპოდებთან ბრძოლაში“, „ინსტრუქტორი და ახალგაზრდების ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის ორგანიზაცია“, „საგიტაციო-მასობრივი მუშაობისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკა“. ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის აჭარის სალოქო კომიტეტის, ცხინვალის საქალაქო კომიტეტის, თბილისის საქალაქო კომიტეტის, ცხაკაიის რაიკომის, წყალტუბოს რაიკომის, სიღნაღის რაიკომის, თბილისის 26 კომბინრის რაიკომის, გურჯაანის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორებმა შ. ს. ბარშანიძემ, რ. ი. ჯიოევამ, ვ. მ. ძნელაძემ, ლ. ა. ხაჯაიამ, კ. ბ. ელეგაძემ, ზ. ი. კრაფვიელმა, ბ. ა. რთველიაშვილმა, ვ. ი. მიზელიშვილმა.

კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. ვ. გელენავიჩმა.

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და თვალსაჩინო აგიტაციის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის ორგანიზაცია“ — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის სექტორის გამგის ა. რ. სანგულიანის გამოსვლის თემა. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციაში მეცნიერული მიდგომის შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა დ. ბ. სტურუამ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის ლექტორის ვ. ს. კუდინოვის ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის“.

კონფერენციაზე მიიღეს რეკომენდაციები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ. (საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნების ჩატარების შესახებ

1975 წლის 13 დეკემბერს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა რწმუნებულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნები კვირას, 1976 წლის 11 აპრილს.

2. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის არჩევნებამდე შესაბამისად გაუგრძელდეს რწმუნებულებანი საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოჩენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი. 1975 წლის 11 დეკემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „ეკონომიკის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა შორის ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდის საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჟურნალი „ეკონომიკა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოჩენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი. 1975 წლის 11 დეკემბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 11 დეკემბრის ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში საწარმოლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალ „ეკონომიკის“ დაარსების ორმოცდაათი წლის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

რუსეთიდან ნიკოლოზის ასული გრიგოლია — ჟურნალის ლიტერატურული თანამშრომელი.

თამარ გიორგის ასული პოპიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ოსტატი.

ომარ ნიკანორის-ძე შურდია — ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა:

მაყვალა (მზია) ვლადიმერის ასულ ნანეიშვილს — ჟურნალის ლიტერატურულ თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

„თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, კასპის, წალენჯიხის, ქარელის რაიონული, ქუთაისისა და ზუგდიდის საქალაქო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ სესიების მომზადებისა და მოწყობის დადებითი პრაქტიკის შესახებ“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის ადგილობრივი საბჭოს მიერ სესიების მომზადებისა და მოწყობის დადებითი გამოცდილება.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საგრძნობლად გააკეთეს საქმიანობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი ინიციატივა და ორგანიზატორული როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

იმ დიდ პოლიტიკურ, ორგანიზატორულ მუშაობაში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის დავალებების წარმატებით განხორციელებისა და პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, თავიანთი საგრძნობი წვლილი შეაქვთ აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებს, მრავალათასიან საბჭოთა აქტივს.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის კოლექტიური ხელმძღვანელობა. წამყვანი ადგილი უკავია სესიებს — საბჭოების მუშაობის ძირითად ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ საბჭოების საქმიანობის სრულყოფას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ“ აღინიშნა, რომ „საჭიროა ვიღვწოდეთ სესიების რეგულარულად მოწვევისათვის, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სესიებზე განსახილველი საკითხების წრე. სესიები უნდა ეწყობოდეს არა პარადულობისა და დასახულ ღონისძიებათა ფორმალურ-საზეიმო მოწონების გულისათვის, არამედ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალური საკითხების საქმიანი განხილვა-გადაწყვეტისათვის...“

საბჭოების სესიების როლის ამაღლებას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXIV ყრილობის ბოლოს. ყრილობამ განსაზღვრა საბჭოების საქმიანობის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ, მოითხოვა, კიდევ უფრო ამაღლდეს საბჭოების სესიების მნიშვნელობა.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა, რომლებიც სულ უფრო აუმჯობესებენ და სრულყოფენ საქმიანობის სესიურ ფორმას, მნიშვნელოვნად გააფართოვეს სესიებზე განსახილველი საკითხთა წრე. მაგალითად, 1974 წელს აქ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების სესიებზე განხილეს სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის 14 ათასი სხვადასხვა საკითხი. მათ შორის ისეთელეს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოება, მშენებლობა, ქალაქების, რაიონების, სოფლებისა და დაბების პერსპექტიული განვითარება, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, მოქალაქის სულიერი სახის ჩამოყალიბება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, საბჭოთა მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმეთა სათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, მშრომელთა მიღებისა და მათი წერილების, საჩივარ-განცხადებების განხილვის ორგანიზაცია, რეაგირება. კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, ამმრჩეველთა განწესების შესრულება, დეპუტატთა საქმიანობა საარჩევნო ოლქებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობა, ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აბორიგელებს მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გასაჯანსაღლად, მშრომელთა მასების სოციალური აქტივობის ასამაღლებლად, რესპუბლიკაში სოციალური მართვის მეცნიერული საფუძვლების ფართოდ განვითარების წინამძღვრებისა და პირობების შესაქმნელად, გონივრული ინიციატივისა და შემოქმედებითი, საქმიანი თაოსნობის მხარდასაჭერად, ახლა რესპუბლიკის ადგილობრივ წარმომადგენლობითს ორგანოებში მიმდინარეობს მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის, კერძოდ, სასესიო საქმიანობის სფეროს შემდგომი გაფართოებისა და დემოკრატიზაციის კანონზომიერი პროცეს

პარტიული ცხოვრება

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

სამტრედიელი კომუნისტები საზეიმო განწყობილებით მოვიდნენ პარტიის რაიონული ორგანიზაციის ორმოცდამეხუთე კონფერენციაზე. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა. არასოდეს არ მოუპოვებიათ რაიონის მშრომელებს ისეთი წარმატებები, როგორიც ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე. ციფრები თავისთავად მეტყველებენ მათ გარჯასა და თავდადებაზე, პარტიის მოწოდების სიმაღლეზე. ერთსულოვან დარაზმულობაზე.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა 113,5 პროცენტით შეასრულეს, ყურძნის — 132, მარცვლეულის — 132,3, აბრეშუმის პარკის — 115,7, ბოსტნეულის — 103, ხორცის — 125 და რძისა — 131 პროცენტით.

ხუთწლედის ვალდებულებათა წარმატებით გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში მოპოვებულ შედეგებს. მარტო ბოლო ორ წელიწადში მოიწეს 33.500 ტონა ბოსტნეული, რაც 4.000 ტონით მეტია მთლიანად მერვე ხუთწლედში აღებულ ბოსტნეულზე. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს გეგმის ზვეთი მიეყიდა 620 ტონა ყურძენი, ხოლო ასე აღებული 2.106 ტონა მარცვლეული 1973 წელს სახელმწიფოზე მთლიანად მიყიდული მარცვლეულის ტოლია; წელს პირველად გადალახეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის 2.000 ტონიანი ზღვარიც.

სასახელო მაჩვენებლებით დამთავრეს მეცხრე ხუთწლედი აგრეთვე რაიონის სამრეწველო საწარმოებმა. მათ ვადაზე სამი თვით ადრე 100,7 პროცენტით გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების ვალდებულებანი, ხოლო ათიოდე დღის შემდეგ შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის საწარმოებმა, სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო ორგანიზაციებმა.

აი, ამ მიღწევებზე იყო ლაპარაკი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ნ. რუხაძის საანგარიშო მოხსენებაში.

შრომის ფრონტზე თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათი ყურადღების ცენტრში იდგა სკკპ XXIV ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდა, მისი კავშირი დღეგანდელობასთან, კონკრეტულ ამოცანებთან.

საანგარიშო პერიოდში პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ დაინერგა საწესდებო უფლება-მოვალეობის შესრულების შესახებ კომუნისტის თვითანგარიშის მოსმენა-განხილვის პრაქტიკა. ამან ფრიად შეუწყო ხელი კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას.

სამეურნეო თუ იდეოლოგიური საქმიანობის სწორად წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კადრებთან მუშაობას, მათ შერჩევასა და მომზადებას. 1974-1975 წლებში პარტიის რაიკომის ბიურომ რვაჯერ იმსჯელა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებზე, ხოლო რაიკომის პლენუმზე კი საგანგებოდ განხილეს საკითხი: „სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმებისათვის პარტიის რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“. რაიონში სასტიკი ბრძოლა გამოიცეხდა უახლოეს წარსულში ხელმძღვანელთა პრაქტიკაში არსებულ სეგმტიური მოგლეჯებს: თვითდამშვიდებას, დაჯერებულობას, თვითკმაყოფილებას, უინიციატივობას.

პარტიის რაიკომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მიმდინარე წლის დასაწყისში თვალსაჩინო ზომების გატარება მავნე ზნე-ჩვეულებათა აღსაკვეთად. რაიკომის ბიურომ იმსჯელა ფართო მასშტაბის ქორწილების, ქელეხებისა და სხვა არაჯანსაღი ჩვეულებების აღკვეთის საქმეში პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და საზოგადოების აქტიურად ჩაბმის შესახებ. რაიკომის ბიუროს დადგენილებას გულისყურით გამოეხმაურნენ მოწინავე საქონელმცოდნეები, მათ კოლექტიური წერილით მიმართეს რაიონის მშრომელებს — ყველაფერი ეღონათ მავნე ტრადიციების აღსაკვეთად. კარგი თაოსნობა გამოიჩინა ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც ღია პარტიულ კრებაზე მოუწოდა რაიონის თვითეულ მცხოვრებს — აქტიურად ემხილებინათ რელიგიური რიტუალების, პროვინციალიზმის, მეშჩანობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წარმომობის მიზეზები და არსი, მიეღოთ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

პარტიული კონფერენციის დელეგატთა სასახელოდ უნდა თქვას, რომ ისინი ამ მარტო საზეიმოდ როდი შეიკრიბნენ; კონფერენციაზე კრიტიკულად იქნა დასახელებული ყველა ის მიზეზი, რაც ხელს უშლით უფრო დიდი წარმატებების მოპოვებაში.

რაიკომის მდივნის მოხსენებაში აღინიშნა მთელი რიგი კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებისა და პარტიული ორგანიზაციების ის მოუქნელი საქმიანობა, რამაც უარყოფითი როლი შეასრულა სამინდოს უფრო უხვი მოსავლის მიღების საქმეში; მეტია გასაკეთებელი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის; გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სოფლად ჯერ კიდევ ბევრია საკოლმეურნეო წესდების დარღვევის, მიწის უდიერად გამოყენების ფაქტები; თანამედროვე მოთხოვნების ჩამორჩება რაიონში მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება; ნაკლოვანებებია ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში, საკმარისად არ არის ორგანიზებული ბრძოლა დამნაშავეობის წარმომშობი ისეთი ძირითადი მიზეზების წინააღმდეგ, როგორიცაა მუქთახორობა, ლოთობა, უდისციპლინობა და ა. შ.

ღრმად შინაარსიანმა, კრიტიკულმა და საქმიანმა მოხსენებამ ტონი მისცა კონფერენციის დელეგატებს წარმატებების გვერდით მოურიდებლად აღენიშნათ ნაკლოვანებები, ეთქვათ სატკივარზე, დაესახათ ხარვეზების გამოსწორების გზები.

აი, მოკლედ ზოგიერთი მათგანის გამოსვლიდან:

ეუფუნა პაპარაია — აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ოსტატი: გულახდილად ვიტყვი, რომ მეცხრე ხუთწლედში ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი არარატმუშად მუშაობდა. ზოგჯერ სიტყვა და საქმე სცილდებოდა ერთმანეთს. მოპოვებული მცირე წარმატება გვამშვიდებდა, თვითკმაყოფილებას ვეძლეოდით, რის გამოც შემდეგი გეგმა-ვალდებულება გვეფუშებოდა. დღეგანდელ პარტიულ კონფერენციაზე ჩვენი დელეგაცია კარგი შედეგებით მოვიდა. გასულ თერმეტ თვეში ფაბრიკამ გეგმის ზვეთი ამოაღწია სამ ტონაზე მეტი ხამი აბრეშუმის ძაფი და მესამე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

ვახტანგ თევზაძე — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი, ლენინის ორდენოსანი: რაიონის სამგზავრო ავტოტრანსპორტმა მგზავრების გადაყვანის ათი თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. ფულადი შემოსავლის ხუთწლედის გეგმა მსუბუქი ტაქსების მძღოლებმა სექტემბერში გაანაღდეს და ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ... მაგრამ ვერ დავიკვეხნით დისციპლინით; ათ თვეში გამოვლინდა რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მძღოლების მიერ ტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის 16, პირადი გამორჩენის მიზნით სარგებლობის 20 და მოძრაობის წესების უხეში დარღვევის 34 ფაქტი, რაც იმაზე მეუთითებს, რომ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

რაისა პრველაძე — ჭაგნის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი: წარმატებები მართლაც გვაქვს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამის მიზეზადვაჯდ თვალი არ უნდა დავხუჭოთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე, რომელთა მოგვარებას მოითხოვს ჩვენგან პარტია, მოითხოვს დრო და ჩვენი საზოგადოების განვითარების ტენდენცია. მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება; სწავლისა და სწავლების ხარისხი მეტად დამაფიქრებელია. პირველი მეოთხედის ბოლოს რაიონის სკოლაში ჩამორჩებოდა 1.050 მოსწავლე. კლასებში მცირდება ხუთოსან და ოთხოსან მოსწავლეთა რიცხვი. ფრიადზე სწავლობს მოსწავლეთა მთელი შადგენლობის მხოლოდ 3 პროცენტი, ხოლო IX-X კლასებში ძალზე მცირეა წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა. ხშირად სამეანიც ლაბერალურად იწერება. და მაინც ჩამორჩენის ყველა გზის ძიებას მასწავლებელთან მივყავართ...

ორმოცდამეხუთე რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ გვიჩვენა არა მარტო ის, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს სამტრედიელმა კომუნისტებმა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის წყალობით, არამედ ისიც — როგორ აფასებენ თავიანთ საქმიანობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძალას. ეს კი წინსვლის უტყუარი საწინდარია.

ნ. ჯაველიძე,
ჩვენი სპეც. კორ.

სამტრედიის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

„საქართველოს აგიტატორი“ № 23

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

ეურნალში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: **ბ. გულიაშვილისა** — ვებრძოლოთ მავნე ტრადიციებს, აღვზარდოთ ახალი ადამიანი; **შ. გულუასი** — შრომის ნოვატორთა პაექრობა; **გ. მელიასი** — მთავარი ამოცანა — პროდუქტიულობის ზრდა; **რ. კაკაბაძისა** — პარტიული ორგანიზაციებ და მშრომელთა მორალურ-ზნეობრივი აღზრდა; **კუბა აშენეს** სოციალიზმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დასასრული.

განსახილველი საკითხების ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის წინასწარ გამორკვევის მიზანდასახული, გააზრებული ღონისძიებანი; სესიების მომზადებაში, მოხსენებების, თანამოსაუბრებების და უფლმივი კომისიების გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ წინადადებათა „შემოსავლებში მუდამ იღებენ მონაწილეობას დეპუტატები, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შესაბამისი დარგების კომპეტენტური სპეციალისტები; დეპუტატები საბჭოების სესიებზე ყოველმხრივ, საქმიანად განიხილავენ შესაბამის საკითხებს, საბჭოების სესიებზე შექმნილია კრიტიკისა და თვითკრიტიკის ხელშემწყობი ვითარება; უზრუნველყოფილია სესიებზე კონკრეტული, დასაბუთებული და რეალურად შესასრულებელი გადაწყვეტილებების შემუშავება; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად სულ უფრო იხვეწება გადაწყვეტილებათა შესრულების განუხრელი კონტროლისა და შემოწმების მწყობრი სისტემა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო და ყოველმხრივ გასაგრცელებელია თეიარიწყარის, ლაგოდეხის, ჯასპის, წალენჯიხის, ქარელის რაიონული და ამ რაიონებში შემავალი საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების, ქუთაისის, ზუგდიდის საქალაქო და მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სხვა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც განსახორციელეს კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაეხვეწათ საბჭოების სესიების მომზადებისა და მოწყობის სტილი და მეთოდები, ყოველნაირად აეამაღლებინათ მუშაობის ხარისხი. და ჭალაქებში არა მარტო დეპუტატებმა, არამედ მოსახლეობის უფართოესმა წრეებმა იციან, თუ რა საკითხების განხილვას აპირებენ ან იხილავენ და რა გადაწყვეტილებებს იღებენ მათ მიერ არჩეული ხელისუფლების ორგანოები. აქ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს უშუალოდ გამოთქვას თავისი წინადადებები და შენიშვნები განსახილველ საკითხებზე, აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, მათს შესრულებასა და განხორციელებისადმი კონტროლში.

ეს აღმასკომები წინასწარ, მორიგ სესიებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე აცნობენ ხოლმე არა მარტო დეპუტატებს, არამედ მოსახლეობასაც სესიის მოწვევის დროს, ადგილსა და საკითხებს, რომლებიც გამოტანილია სესიების განსახილველად. აღმასკომები ადგილობრივი პრესის, რადიოს საშუალებით, სპეციალურად გამოშვებულ პლაკატებში ამომრჩევლებს სთხოვენ გამოთქვან თავიანთი აზრი განსახილველ საკითხებზე, წარუდგენონ თავიანთი წინადადებები თუ შენიშვნები აღმასკომებს ან დეპუტატებს. მოსამზადებელ მუშაობაში, როგორც წესი, აბამენ დეპუტატებს, შეაბამის მუდმივ კომისიებს, აქტივისტებს, მეცნიერებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მათ შორის რესპუბლიკური სამინისტროებიდან, უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან. დეპუტატებისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის განსაცხობად წინასწარ გზავნიან გადაწყვეტილებათა პროექტებს.

